პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ფასი ორი შაური.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ნიანგი

№ 56 კვირა, 11 ივლისი, 1926 წ. № 56

## ,,ფხიზელი თვალი''

,,მომჭირნეობის გატარება ზოგიერთებმა მხოლოდ შტატების შემცირებად გაიგეს და ისიც მახინჯად: ამცირებენ დაბალ მოსამსახურეებს''.



ნეტა ვის დაასობს მრისხანე თვალებსა?!?
საფრთხე არ მოელის ამისგან ქალებსა...

ჰა, შიკრიკს და დარაჯს დაასო ისარი
და ამბობს: ,,ხომ ვნახე!.. ის არი... ის არი..



# ზოგიერთი „სპეცი“

[illegible]
თავისი მადიანი კუჭითა ზომავს.
ა. დოლიძის წერილიდან.

ეს ვინა ზის ავტოში, ამაყად დაბღვერილი,
საით მიექანება—კოხტად ყელ-მოღერილი?
დიდი საქმის კაცი ჩანს,—ფიქრებშია გართული,—
ეტყობა რომ აწუხებს საქმე ძნელი და რთული!
შრომისაგან დაქანცულს უძილობაც ემჩნევა,
ალბად ცდილობს „ზევიდან“ არ მიიღოს შემჩნევა.
მუხლზე უძევს პორტფელი, გაჭედილი პირამდის,—
(გეგმებს ადგენს უთუოდ, ჰსურს მოასწროს კვირამდის).
ხელზედა აქვს ბეჭედი, უცხო ქვებით რჩეული,
ძვირფას სიგარის ბოლში არის გამოხვეული,—
(რა ქნას, ალბად თავს ირთობს, სტანჯავს სევდა წყეული)
საქმეზე თუ იჩქარის—შრომის მოყვარულია:
შოფერს გადუჩურჩულა:—„სწრაფად წამიც ფულია“:—
გაიარა პროსპექტი—ათას ფერთა მჩინარი,—
ვინც შეხედა ყველამ სთქვა:—ნეტავი თუ ვინ არი?—
„ვინ არის“? მეც ეს სიტყვა გულს კითხვად ჩამკეცია,
— აჰა, ეხლა ვიცანი, ეს ხომ ჩვენი სპეცია?!..

„ართო„-ს წინ გააჩერა თავის ავტო-მანქანა,
ისე ადგა, რომ ირგვლივ თვალიც არ გააქანა
და საქმიან ნაბიჯით კაზინოს მიაშურა:—
შეხვდენ სალამ-ქალამით, დაჯდა ყიზილბაშურად
და გასურდა „ბაკარა“, თალია სდევს თალიას,
ხან ბითური, ხან ოცი,—გული ღელვამ დალია.
მოდის, მიდის ყისმათი, არვის არ ენაღვლება,—
(აქ ნებადართულია ერთმანეთის გაყვლეფა!)
და რაც ქონდა თავისი, ან სახალხო კასიდან—
ასმა ხელმა უეცრად აქეთ-იქით გაზიდა,
მაგრამ წყენა?—ნუ იტყვით, არც კი იგრძნო ყასიდად!
ან რა არის ასე ვსთქვათ, „გულზე გასატკვლეცია?“
ხვალ ხელახლად იშოვის, ყველაფერში სპეცია!..

კაბარეში იჩქარის, იქ ვახშმად მიელიან,
მისთვის გულებს ინთებენ ლილი, ნელი, ელია.
ამფსონები კარგი ჰყავს, ქეიფიც ემარჯვება:
სმაში და სიმღერაში უკან არვის დარჩება!

ენამახვილიც არის—„სუფრის სულათ“ ითვლება,
მისი ტოლი ქალაქში ხუთი არ დაითვლება,
ყველა მცოდნეს უძახის, გენიოსი ჰგონიათ,
ისიც იშვნევს ქარაგმებს, მუდამ თავმომწონეა!
სიმთვრალეში ჭირვეულს შვენის დარდიმანდობა:
შამპანიურს წყალივით ღვრის არა აქვს დანდობა!
დანახარჯის გადახდას ვერ მოასწრებს ვერავინ,—
ერთის სიტყვით, ვაჟია კალმით აუწერავი!—
ბედს იმისთვის კისერი ჯერ არ მოუღრეცია,—
ბრწყინავს მისი ვარსკვლავი, ბედნიერი სპეცია!..

ვსთქვათ, ნავახშმევს უეცრად სეირნობა ინება:
— ალლო! შოფერ, მცხეთისკენ, ელლის არ ეძინება,—
რა უყოთ თუ შოფერი გულში შეიგინება?
ნაცვლად ზახარ-ზახარიჩს*) ეს სულ არ ეწყინება!
ამნაირად ხარჯი-ხარჯს ემატება-გროვდება,
მათი გადახდის ვადა დღითი დღე ახლოვდება,
მაგრამ მას გულში დარდი არა აქვს ნამცეცია,—
მოახერხებს, დაჰფარავს, ის ხომ დიდი სპეცია?!

კაბინეტში მარტო ზის, გეგმებს ადგენს მადიანს:
იმის ტვინში ფიქრები ჩერვონცებად დადიან!—
სახელმწიფო საკითხებს ზომავს თავის კუჭითა,
„ულტიმატუმს“ კიდური წითლად გადაუჩითა,—
ანგარიშობს თვის „კუთვნილს“, მოსდის თავში თემები:
მივლინება... ზედმეტი... ჯილდო, ტანტიემები,
ჰონორარი სხდომებში, გასამრჯელო დასკვნისთვის,
ხელფასი აქ მოსვლისთვის, ქირა სახლში წასვლისთვის.
თორემ... წავალ და თქვენთვის გაცივდება კეცია...
და ჩხრიალებს მის ბამბაც, რადგან დიდი სპეცია!..

მაგრამ ეს რა დრო დადგა, ამინდი შეიცვალა
და ზოგ სპეცს, ვინც „ქვეყნისთვის ეგოდენი იწვალა“,
კბილი გამოუჩხრიკეს მჭრელ ფოლადის ქლიბითა—
და მსუქანი ნაჭრები ამოართვეს ჯიბითა!—
რკინის ცოცხმა უეცრად ეზოს ჩამოუარა—
და ჯერ ბევრმა არ იცის გადურჩება თუ არა,
რომ დასახვეტ ნაგავში არ ჩაეფლოს თავითა,
თავის „ნაიმასქნარით“ ნაბოჭ-ნაფლანგავითა?!
ბევრს დაადნა ლაბაბი გულზე დანაკეცია,—
მახლაჩ, რა დღეს მოესწრო ზოგიერთი სპეცია!..

ფარსადან.

# გაფთხილება

მე მახსოვს საწყალ ჩვენ გაბრიელსა
რა მოუვიდა, რა დაემართა.
სიმულიანტობას მოკიდა ხელი
და ბოლოს ბადეს შიგ ჩაეხლართ

„ცხოვრების ნიშნად სიმართლე გქონდეს“
და სიყვარული „სტრახკასის“ ვალად;
სიმულიანტობას უნდა ებრძოდე
თუ არ გსურს ფლანგვა დაგედოს ვალად,

ეგებ ძმობილო, შენ გამგეს სძულხარ,
ერთი ხარისხით დაგწია უკან
და დაჩაგრულმა გამგის სიმკაცრით,—
დამზღვევ კასაში მოძებნე ლუკმა!

სიმულიანტობას მოკიდე ხელი,
აღარ გაქვს სრულიად კასის დანდობა?
გახსოვდეს: ხეირს აროდეს მოგცემს
შენ ეგ ხელობა:—სიმულიანტობა.

მე გაბრიელის მახსოვს ამბავი...
(მას ბრალდებოდა სიმულიაცია
იმას გაფლანგვა დასწამეს ამ გზით...
გამფლანგველი კი რაღა კაცია?).

გაბრიელ მართლაც ნამდვილათ იყო,
როგორც ამბობდენ, სიმულიანტი,—
მაგრამ ვილაცამ (ალბათ მუშკორმა)
მოულოდნელად გამოსდო კვანტი.

*) ზახარ-ზახარიჩი ცნობილი მიკიტანია მცხეთაში.



ბავში არ ყავდა გაბრიელს, მაგრამ
მზითვის, სარჭეო, სამშობიარო
ყველა მიიღო დახმარები...
(მეც ასე ვქენი... რა შორს ვიარო!)
ასე მოიქცა მაქსიმეც ჩვენი,
კასას მოჰპარა თუ იყო გროში,
და შემდეგ... კარგი ცხოვრების ნაცვლად
თავი ამოყო სასამართლოში.

არ დაგინდობენ შენაც კეთილო,—
და თუნდ ხარისხით დაგწიონ უკან,—
დამზღვევ კასაში სიმულიანტობით
შენ ნუ მოძებნი ლუკმასა მსუქანს.

იქნებ შენ მოხვდი შემცირებაში,
ან სხვა მიიღეს, შენს ნაცვლად ფრანტი;
მაინ გახსოვდეს შენ შენი ვალი:
ნუ შეიქნები სიმულიანტი...

მე გაბრიელის მახსოვს ამბავი
მას ბრალდებოდა სიმულიაცია.
ამ გზით გაფლანგვაც დაუმტკიცდა,
გამფლანგველი კი რაღა კაცია?

ალლარ-ალლარსანი.



**მეეზოვე** (ქურდს). ჩამოდი... ნუ იპარავ ლამპოჩ-ვას... (ჰყვირის) მილიციონერ!...

**ქურდი**: რა გაყვირებს, ჩემო კარგო, მე ქურდი კი არა ვარ,—მონტიორი ვარ... ხომ ხედავ მთვარე ანათებს და ტყუილ-უბრალოდ იხარჯება ელექტრონის ენერგია... ხომ იცი ეხლა ეკონომიის რეჟიმია!

# ერთი მრავალთაგანი

ქალთა ორგანიზაციას ქალების კრება მოეწყო. ამ კრებაზე დიომიდე ასეთი მოხსენებით გამოვიდა:

— ამხ. ქალებო! ყველა თქვენთაგანი უნდა ჩაებათ საერთო მუშაობაში, რომ ნათლად დაინახოთ თქვენი უფლებები, რომლებიც დღემდი თქვენ არ გქონდათ ხოლო დღეს კი უკვე მოპოვებული გაქვთ. მოსპობილია ქმრების გავლენა ცოლებზე და ამიერიდან ქალები ისტორიულად დაჩაგრულები და დამონავებულები თავისუფლები ხართ.

ტაშით დააჯილდოვეს დიომიდე... ხოლო კუთხეში ორი ქალი ასე ჩურჩულებდენ ერთმანეთში:

— უყურე, უყურე! მაგი ოხერი ქალების თავისუფლებაზე რომ გაჰყვირის,—თავისი ცოლი რომ გაანთავისუფლა, ისე გვიპირებს ჩვენც, რომ ქმრებმა გაგვანთავისუფლონ?!

— აპა, აპა! ცოლი გაუშვა ორი ბავშვით და სხვა ქალი შეირთო... უსიამოვნების მიზეზად ასახელებდა, რომ: „საამდროვო ცხოვრებისათვის მოუმზადებელია და საერთო საქმეში მუშაობაზე ხელს მიშლისო"... ოხერი მაგი.

---

მაგრამ დიომიდე მეორე ცოლსაც ვერ „შეეგუა" და მესამესთან დაიჭირა საქმე. მეორე ცოლმა—მარომ ეს გაუგო და თვალ-ყურს ადევნებდა. ბოლოს სკანდალიც კი აუტეხა... დიომიდემ მაროს დასამშვიდებელი და ეჭვის გასაქრობი წერილი მისწერა:

**ჩემო მარო!**

**მივიღე გენაცვალე შენი წერილი, რამაც ძალზე მომწამლა. არ გცხვენია, რაებს ფიქრობ? განა ჩემზე შეიძლება ასეთი ეჭვიანობა? არა, გენაცვალე; ისე როგორ დავეცემი და გავთახსირდები შენი დიომიდე, რომ შენ გაგცვალო მარგარიტაში, რომელიც ზნეობრივად ყოვლად გაბახებულია და სილამაზეც არა აქვს... დამშვიდდი გენაცვალე... ხომ იცი მიყვარდი, და ამიტომაც იყო პირველი ცოლი და ორი შვილი შენ განაცვალე...**

მარად შენი დიომიდე.

როცა დიომიდე ამ წერილის წერას მორჩა, მეორე წერილის წერას შეუდგა:

**ძვირფასო მარგარიტა!**

**ტყვილა ბრაზობ... რას უყურებ გამოტვინებულ ქალის ლაპარაკს? მარო მე არასოდეს არ მყვარებია, თუ ჯვარი დავიწერე მაზე, ეს მეც მიკვირს, თუ როგორ მოხდა. მე მეტის მოთმენა აღარ შემიძლია. ის მაჯლაჯუნა უნდა მოვიშორო... მე ჩამოვალ მანდ ქალთა კრებაზე მოხსენების გასაკეთებლად; დედაშენს პირადათ მოველაპარაკები და საქმეს მოვაწყობ. ნუ გეშინია, გენაცვალე... ცოტა კიდევ და, შენ ჩემი იქნები... არ იდარდო, გენაცვალე...**

სააქაოს და საიქიოსაც შენი დიომიდე.

და დიომიდე, მართლაც, მარგარიტას სახლში მიდიოდა ერთ მშვენიერს საღამოს. ის იყო ჭიშკარს მიადგა და ცხენიდან გადმოხტა, რომ ამ დროს ღობის ძირიდან ვიღაც ქალი წამოდგა სარით და დიომიდეს უთავაზა გვერდებში.

— ვიცანი?—შეეკითხა დიომიდეს ქალი.

— მარო!—ძლივსღა წამოილუღლუღა დიომიდემ.

— დიახ! მარო—და ქალი თავის გზას გაუდგა.

---

მეორე დღეს სოფელში ხმა გავარდა: „დღეს ქალთა კრება არ შესდგება, რადგან მომხსენებელი ცხენიდან გადმოვარდნილა და გვერდები საგრძნობლად დაშავებია"

კოსტაიდი.

# „მშვიდობიანი მგზავრობა"




ეროვნული ბიბლიოთეკა

# კონკურენცია

თენდება რადა. იქ მთის გადაღმა
მზემაც ამოჰყო ნელნელა თავი,
რომ შემდეგ სხივი დაუშვას ლაღმა
და მოლად განდევნოს ღამე პირშავი.
ღრმად სძინავს ქალაქს. სიჩუმე მეფობს,
როგორც წყალდამშრალ მინდორ-ველაზე
ვინ იცის თუ რა სიზმარი შეუვის
მოქალაქეთა თავის ქალაში.
თქვენ ძილს არ ვიფრთხობს: ბუალმოგილი,
ხრტენა, საყვირი, ავტო, ტრამვაი.
თქვენს ძილს მფარველობს ღმერთი მაღალი...
ასინჯეთ ტკბილად და... მაგრამ, ვაი!..
რა ამბავია?! რა მოხდა ნეტა?!
ისმის: ზმაური, სტვენა, ხრიალი,
თითქოს ილუპავს ჩვენი პლანეტა
და უჩქარია მისი ტრიალი...
ან უნდა იყოს მოსვლა მეორე,
როცა ლამპარავს დაიწყებს ქვეყნიც,
რომლების სიტყვას განიმეორებს:
მთები, ტყეები, მიწა და ზღვებიც.
წამოიზნიტა კატა, ის ღაუშიგავსა
კუზიან აქლემს ზმორებით, შიშით,
მამალი იტყვს ყივილით თავსა,
თუმცა ადრეა სწორ ანგარიშით.
რა ამბავია?! რა მოხდა ნეტა?!
რომ მას ხელებიან ხოტბით ძაღლებიც?!
აპა, გამოჩნდა ირი „კარეტა",
ორივე არის თეთრი, ახლები.
როცა ერთმანეთს მათ მოჰკრეს თვალი,
მთელი ძალღონით შეუტევს ზარებს.
სწრაფად ილვიძებს არე დაფრთხილი
და შიშისაგან იგი ზანზარებს.
რამდენს ჩაუკლა ალერსი, ვნება?
რამდენს დაუფრთხო ტკბილი სიზმარი,
(განადლებული იყო ოცნება),
გამოაღვიძა ცოლი და ქმარი?
ბავშვებს შიშისგან წაუხდათ კუჭი
და მათ „გარშიკზე" აუტეხს ძიძა.
ვულარ აშინებს მუქარა, მუჯი...
მათ შარდმა დედა გამოაღვიძა.
სახლის წინ გრუხ კი განგაშია:
ზარს უკობრებს დიდი საყვირი;
ძაღლების ყეფა თითქოს ტაშია
და თითქოს მღერის მათთან ვირი.




ილება კარი... გამოდის ქალი,
აქ—ნინო, მარო; აქ კი—თამარა
და აივანზე დგება, ვით ალი,
მარტო პერანგის და „მის" ამარა.

გაბრაზებული მეუღის ანგრია[illegible]
„გვაცალეთ ძილი... რაბა მგავს[illegible]
რა დროს რიგ არის დილა-ადრ[illegible]
(ხარება პერენგის მას ამხანაგი)[illegible]

აჰ ტკბილი ძილი არ გვღირსება
კონკურენცია მათი არ ცხრება
„მალაკო"-სავან, ჩვენი ქალქი.
და ზარ-საყვირის ისმის: „მალაკო"... ჟინჟარი.

# გოდება

მურული სცენა

შუნძრა ქვეყანა ალაპარაკდა ბიდები, ამქრელდა გაზეთები. შეიქნა მიჯაღ-მოჯაღლი, ყველამ მოიჭერია, ყველამ ეკითხებით, დაუყვრუვით თანხებით, ავიშინით ქარხნებით.

მოვედი მეც ხოშზე... თბაი თბის ეარქვი, შეალმა შეჭამა-მეორე, მოეჭიროვ მეც სახარვჯავს ტირიფებს—და ქარხანას თუ არა—სალორეს მაინც რომ წამოვეჭიდე მეთქი.

გადავიწყვიტე დავაგდენ და ზე ოეწავე მარიამას სვედზე:

მოქალაქე გომ-სავრის კომისარო—მარინე!

გატყობინებთ, რომ შენ ვერ შეგიგნია მომჭირნეობის რეჟიმი. შემჩნეული რომ ტყეშიდენ და ტარანს ირიგებ ერთად ხარჯავ, ჩაულეჯ და წელას ირიგებ ერთად აპირაპულზედ და სხვ... ებრძანებ სასტიკად: დღიდან არც ერთი საკულო-სახელიანი და გრძელი კაბა, არც ერთი ავბის ქუდე პერანგი და მისი თანაზომზე, არც ერთი კაკალი სიმინდი ქათმებს, არც ერთი კეპკე მარილი, არც ერთი ვირვანჯა ნავთი არ დამარჯოს. სრულიად მოსპობ ხმარება საჭარულებლისა, სამნისა... სპიჩკის ხმარება დაუვანი ლოჭნებ საკვებამდი. ძაღლის და კატის რიცხვი ნულამდე, ქეჯ დღეში ერთი კვერი, შემდ სამ დღეში ერთი ჰერი... ვაი შენს ტყავს, თუ დღიდე არ მოგიყვანია სისრულეში: რაზეცა და მისი ჯანი მზად არის.

მოვუკეს ლხენა, რაზეცმის გაგონებამ მარიამას შეუუჯნა ბლაბვალი და ჩემი დადგენილება ერთ კვირაში შეასრულა.

მარა თქვენს დღეშმას ამისანა მე რომ დამემართა.

ეჭებს ოუვარდათ გულის ცრიალი და ყველა დაწყდა. თავვებს და ტუჩებს შორის გამართა რაცით ლაშა ოგი, რომ არც ძოლი და ალარც კატა არ ძრისო—მოკვდენი... თავვებმა ფეხზე ჯღარკა შემოიჩეჭეს. მიღანილებული ქათმები ტურებმა დაჭამეს. სიბნელეში მარიამამ მჭადის ჩაუკლა ტარანს ზეტუს ძვალი, გომპები კისერზი, გაშუკრდა საკლაპეტი, კინაღამ შეეჭრა ცოლის საძმრილაშ... ისე მოიფხანა და დაიჭკია მომჭირნეობამ... ამასამის ემბოდ ეჭინე, რომ ჩემხაები არ დაუმართოს ზოგიერთ დაწესებულებას... კვარი აქა და ოქროს საყეური.

შმანკილა.

# ამაო ლოდინი

## თეთრი ლექსი. სცენა ტრაღედიიდან

1.

სცენა წარმოადგენს მტკვრის ნაპირს ვერის ხიდის ახლოს, სადაც მოწყობილია „წყალში დამხრჩვალთა წინაალმდეგ მებრძოლი საზოგადოებ"-ის კარავი, რომლის წინ სხედან ორი მეთვალყურე. მოსჩანს ვერის ხიდი, რომლის ქვეშ ჭინკებსავით ტიტველი ბავშები მაღლობიდან უხტებიან წყალში საბანაოდ.




**პირველი მეთვალყურე** (უკმაყოფილოდ).
ესეც სიბრძნეა ალმასკომის, თუ რა ჯანდაბა?!
მტკვრისა ნაპირას მრავალ ადგილს მოაწყო პუნქტი.
დადგა კარავი და თავები გვაკრია შიგა.
გვითხრა: „ბიჭებო, იყავით მედგრად მარად ფხიზელი;
ვინც გადავარდეს ამ ხიდიდან დახრჩობის მიზნით,—
თქვენი ვალია მათ განზრახვას აღუდგეთ წინა
და ჩაუშალოთ მათ კეთილი სურვილი თქვენა...
როგორც კი მოჰკრათ თვალი ხიდთან ატუზულ ვინმეს
და აცეცებდეს იქით-აქეთ ცრემლიან თვალებს,—
იგი თავს იხრჩობს—და თქვენ ეს მათ არ დაანებოთ...
ხოლო თუ უკვე მოახერხა, ისკუპა წყალში,—
თქვენც გადაეშვით და ნაპირზე ამოიყვანეთ"...
მაგრამ სად არის!!! ეს ოხრები თავს არვინ იხრჩობს,
თითქოს არა-რა ხდება ქვეყნად ისეთი რა, რომ:
ღირდეს იმისთვის ვაჟკაცურად თავის დახრჩობა.

**მეორე**—(ბრაზმორეული და უფრო უკმაყოფილო)
მაშ... მაშ... ოხრები! შეუყვარდათ ალბათ ცხოვრება;
ვერ იმეტებენ დასახრჩობად თავის მუდრეგ თავს...
ნუ თუ მოისპო: სიყვარული, ტრფობა, ალერსი,
რომ ასკუპებდა იმ ხიდიდან შეყვარებულებს?!
ნუ თუ არ არის ცოლ-ქმრებს შორის დავა და ჩხუბი,
რომლის წყალობით აკეთებდენ ტრიუკებს წყალში?!
ან თუ გამდიდრდა ყველა ისე—რომ მაძღარია
და შეიყვარეს თვისი თავი, რომ სძულდათ უწინ?!

**პირველი.**
თუ კი კვლავ არის სიყვარული, დავა და კუჭი,—
მათ რა აბრკოლებს? ნეტა რისთვის არ იხრჩობიან?
მტკვარი დიდია... ზაფხულია... ცივი არ არის...
ამღვრეულია... ასეთ წყალში ვერც დავინახავთ.
„ობესპეჩია": დაიხრჩობა—მიზანს მიაღწევს;
აღუსრულდება როგორც უნდა გულის წადილი.
სხვა რომ არ იყოს,—სინდისს მაინც უნდა მიხედონ:
მოველოდებით ჩვენ ამდენხანს იმათ დახრჩობას,
მაგრამ ისინი არც ფიქრობენ ამაზე მგონი.
ოჰხ! ერთხელ მაინც მღირსებოდა ვინმეს დახრჩობა,—
რომ მივეშველო... ამ სიცხეში დავგრილდე მაინც.

**მეორე.**
მეც ვერ მივხდარვარ, ჩემო ძმაო, რაშია საქმე?
მაგრამ მგონია (და ალბად, რომ ასე იქნება):
თუ კი ადევნებ გაზეთს თვალ-ყურს გეცოდინება,
რომ თვითმკვლელობის მოიგონეს სხვადასხვა ხერხი,—
და არვის უნდა შენი მტკვარი თვითმკვლელობისთვის,
ანდა, მითხარი: რაკი კაცმა დიდხანს იფიქრა
და იმ დასკვნამდი მივიდა, რომ: მოიკლას თავი,—
ერთი მითხარი!—რატომ დასდებს სასწორზე მიზანს?!
მას ურჩევნია საშუალება მონახოს სულ სხვა,—
და მოიყვანოს სისრულეში განზრახვა თვისი.
მაინცდამაინც რატომ მოვა აქ ჩვენთან ხიდთან!?
წავა იქით და ყრუ ადგილზე იზამს თვის საქმეს...
ამაო არის, ჩემო ძმაო, ჩვენი ლოდინი,—
და ტყვილა გვიდგას დღით და ღამით ჩვენ აქ ლოგინი.

2.

სცენა წარმოადგენს ქალაქის ბოლო უბანში მტკვრის ნაპირს, სადაც მოწყობილია ისეთივე კარავი, როგორიც პირველს სცენაში. აქ სხვა მცველებია. სცენა ხდება ერთს და იმავე დროს.




**პირველი** (უკმაყოფილოდ)
ესეც სიბრძნეა ალმასკომის, თუ რა ჯანდაბა?!
აქაც თბილისი ხომ არა არის?! ეს არის დაბა...
აქ ვინ წამოვა ქალაქიდან დახრჩობისათვის?
რად გადაიხდის ტრამვაის ფულს: სამ შაურს, აბაზს?
(სულ რომ რა იყოს,—ეკრეჟიმსა დაიცავს მაინც).
განა ამისთვის ცოტა არის ადგილი იქაც?
ხუთი ხიდია, რომლებიდან ისკუპებს მტკვარში
და დაანახვებს თვის გმირობას გამვლელ-გამომვლელს...
(ესეც საქმეა: სხვებს გაართობს სანახაობით).

**მეორე** (ბრაზმორეული და უფრო უკმაყოფილოდ)
მეც მაგას ვამბობ, ჩემო ძმაო... სწორი აზრია.
ჩვენ რა შეგვხვდება,—ის ჩვენამდი ვერც კი მოაღწევს,
რადგან დახვდება სხვები გზაში და ამოათრევს,—
ჩვენ კი დავრჩებით ხახამშრალი, პირდაღებული...
ამაო არის, ჩემო ძმაო, ჩვენი ლოდინი,—
და ტყვილა გვიდგას დღით და ღამით ჩვენ აქ ლოგინი.

**ისელი.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ცნობათა მიღება

**კუდა-მელას.** ორთაჭალის ტრესტებს (სახელდობრ რომელს?) უსაყვედურებთ, რომ მომჭირნეობის გამო ბუზების დასაჭერ ქაღალდს არ ყიდულობს ადმინისტრაციაო და ამიტომ:

**და ჩვენ კალმიან ხელებს ვიქნევთ ბუზებზე ჯავრით..**
**ნახევარი დღე ხომ უნდება ბუზების ჭერას.**

და ასეთი მომჭირნეობა თურმე მაშინ ტარდება, როცა:

**სამაგიეროდ ვინმე სადმე თუ მიბრძანდება**
**ის რბილ ვაგონით წაბრძანდება აუცილებლად.**

ამხ. კუდა-მელა, თქვენ უნდა იცოდეთ, რომ „რბილ ვაგონით წაბრძანება“ სჯობია, ვიდრე მაგარით, ვინაიდან ბოლოს მაინც შეხვდება (გამსახლში) მაგარი საჯდომ-საწოლი.

**ღარინელ ვლასიას** (ღანირ-ჭაგანი) ქვან...

**ამქარიც კარგი ჰყავს:**
**მილიციონერი!**
**ის რომ საქმეს შვრება**
**არ იქმნს პიონერი.**
**ყველა ეს მოქმედება**
**ალმასკომის ბრალია.**
**რადგან ქცევა ასეთი**
**მას არ აუკრძალია,**
**ამიტომაც გთხოვ, რო...**
**აუწიო ყური**
**და აჭამო ორივეს**
**ცხელი ხაჭაპური.**
**ხაჭაპური არ ეგონო**
**მათ კარგი საჭმელი;**
**იცოდენ, რომ ისა**
**არის პირის მწველი.**

თქვენ არ გცოდნიათ, თორემ ისინმა კარგად იციან, თუ როგორი საჭმელია ხაჭაპური, რომელიც ცხელი უფრო გემრიელია, ვიდრე ცივი. ნუ გეშინიათ; მიართვით ცხელი ხაჭაპური და აბა ნახეთ პური თუ დაიწვან. ასე, რომ თქვენი ჭკუის სწავლება ჩვენ ხაჭაპურს გვაზარალებს, და ჩვენ კი მაგათთებისათვის ხაჭაპურს კი არა, ვირის აბანოში შავი პურის ნატეხსაც არ გავიმეტებდით.

**ლევურს** (ნაგომარი) თქვენ რომ დაგიჯეროთ, მკერ... ისე ყოფილა გაგიჟებული ბიჭიბიო, რომ:

**საკერავს რომ დაიკავებს**
**აგონდება ბიჭებია.**
**და ამ ჩემსა შარვალსა**
**მან წააჭრა ტოტია.**

...იზამდა, რომ შარვლის ტოტის ნაცვლად, ანდა მასთან ერთად თქვენთვის ენაც წაეჭრა; ამით ჩვენ ავცდებოდით ხათას, რომელიც დაგვემართა თქვენი წერილის წაკითხვის დროს—ენა ვილძეთ რითმებზე ხტომის დროს.

**ვანო ხაშურელს.** არ იბეჭდება უვარგისობის გამო.

**ნაბადელს.** არ გამოგვადგა და ნუ გააგრძელებთ, თორემ ჩვენ გავაგრძელებთ თქვენდამი ასეთ პასუხს.

**რიჟას** (ხევის თემი). შეიძლება ამბავი „სინამდვილეს შეეფერებოდეს“, ხოლო თქვენი ლექსი ლექსს ვერ შეეფერება და ამიტომ სურათის საფასურად თქვენს მიერ გამოგზავნილი ფულით გიწერთ ჩვენს გაზეთს და ჟურნალს ორი თვით.

**ჭკუა-მხიარულს** (მექვენი ლეჩხუმი) თქვენ გვწერთ რომ:

**„შიო ხვადაგიანმა თემში არსებული დაწესებულებები ხელში ჩაიგდო და ყველგან იგი არის უფროსად. დარჩენილი იყო მხოლოდ ერთი ცხოველი ვირი და ისიც ხელთ იგდო“.**

ალბად მიტომ, რომ ეს პატიოსანი ცხოველი პატივს სცემს და ამდენ შრომით დაქანცულ შიოს დასასვენებელ სახლში (გამსახლში) მიიყვანს.

**ბორან-კოტეს** (საგარეჯო) კარგი. ვათავსებ წვიმისაგან დაზარალებულ დარუსიას სურათს. ზარალის ანაზღაურებას ვავალებთ თემკომის მდივანს, რომლის თაოსნობით გამართულა ტყეში გასეირნება ტყის გასამარგლად.



ტფილისში იშოვება: პუდრი „კრასკა“ და სხვა, რომელიც წვიმას ჩამოურეცხია დარუსიას ორმოცდაათი წლის სტაჟიან დანაოჭებულ სახედან. ნუ კაპასობს ამის გამო დარუსია. ზარალი აუნაზღაურდება.

**„დაიოშს“** (სოფ. საწირე) კარგი თავმჯდომარე (ალბათ ...) კი გყოლიათ, თუ კი:

**„ვირო, მუტრუკო, ნადირო“**
**ასე უწოდებს გლეხებსა...**
**და წიხლებს ისვრის ჯორსავით**
**სადაც კი მოახერხებსა“...**

...ისურვეთ მისგან წიხლის კვრა და ისევე გაუმასპინძლდით, როგორც ის გლეხებს უმასპინძლდება. აი ეს არის ყველაზე უფრო უმარტივესი საშუალება იმისათვის, რომ კიდ... განიმეოროს:

**ვარ მე ყველაზე ძლიერი**
**და გქონდეთ ჩემი შიშიო;**
**კრინტი არავინ დაჰბეროთ,**
**ენა დაიბით პირშიო.**

**ვ...ონტის** (სოფ. ზოვრეთელი). რა საჭიროა ზაფხულში ბუხარი სასწავლებელში, მით უფრო ეხლა, როცა არდადეგებია. ალბად ამიტომაც შემოეჭამათ ამისათვის შეკრებილი ფული მასწავლებელს. ხომ გაგიგონიათ:

**ხმა-ჭამა კარგად შესარგი, დება რა სავარგულია...**
**რასაც შესჭამ შენია, რაც არა დაკარგულია.**

ასე სწერია „ვეფხის ტყაოსანში“ და ალბად, თქვენს მასწავლებელს წაკითხული აქვთ ეს წიგნი და ეს ადგილი კარგად დამახსოვნებიათ.

**„უჩა ბოშს“** (ზუგდიდი) თუ თქვენ ასეთი ავათმყოფი არ გაგაგზავნათ კომისიამ წყალტუბოში და გააგზავნა კარგადმყოფი ექიმი ანდრო გებუაძე, — სამაგიეროთ თქვენს ნაცვლად ჩვენ ვაგზავნით თქვენს წერილს ...ტუპოში და განიკურნება „ძვლების ჭლექისაგან“, რომელიც თქვენ, თურმე ასე გტანჯავს.

„დოდო კატას“: თქვენ კი არა, ჩვენც არაფერი ვიცით და არაფერი გაგვეგება ჩვენი ობსერვატორიის ცნობებისა.

„ალბად გაზეთები ღმერთთან ცაში უფრო ადრე მიდის, ვიდრე სოფელში. (აი რას ნიშნავს საჰაერო მიმოსვლა). გაზეთში წავიკითხე; რომ ოცდაცხრა გრადუსი სიცხე არისო და ამინდის ცვლილებას არ უნდა ველოდეთო... იმავე საღამოს კი მოვიდა წვიმა და ისე აგრილდა, რომ ღამით საბანში ვიმალები. ამის შემდეგ კიდევ იტყვის ვინმე რომ ღმერთი არ არისო?! როგორც კი მიიღო ღმერთმა გაზეთი და წაიკითხა ჩვენი ობსერვატორიის ცნობა, გაიცინა (ალბად) და სთქვა; უნდა გავაბითუროთ და გავაცუროთ ობსერვატორიაო და კუდისპირულად გააწვიმა.

„ნეტარნ არიან მორწმუნენი“. ღმერთზე უფრო სანდოა, კინტო, რომელმა სთქვა (ტარტაროზი № 54): ეს წვიმა იმიტომ მოდის, რომა ვაინა და ომის შემდეგ ცა არ „შეუპაჩინკებიათ“ და მისთვის „რემონტი“ არ უქნიათო.




**მიცვალებულები და მათი ჭირისუფლები** (რომლებსაც მოუყვანიათ გასაცოცხლებლად მკვდრები): სიკვდილის გვეშინია... გამოვექეცით,: შევგიფარეთ და გაგვაცოცხლეთ... კიდევ მოდიან ბევრი ჩვენები.

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრ. კომიტ. სტამბა, კამოს ქ. 68.